ხელშეკრულება №17

ქ. თბილისი 04.01.2016წ.

ერთი მხრივ, სსიპ. ქალაქ. თბილისის №48-ე საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი") და მისი დირექტორი ირმა ფუხაშვილი-ს სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს „სანტექ. სერვისი" (შემდგომში „შემსრულებელი") მისი დირექტორის ზვიად სამუშია-ს სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ. ქ. თბილისის №48-ე საჯარო სკოლის შენობაში, არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელზე საავარიო მომსახურება. (CPV 90470000)

1.2 ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამუშაოები: სამუშაოების ჩამონათვალი იხილეთ დანართი ნომერ №1-ში, რომელიც არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

1.3 ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ ქალაქ თბილისის №48-ე საჯარო სკოლა ირიცხება შ.პ.ს „სანტექ. სერვისის" აბონენტად.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარი.

2.2 ხელშეკრულების 2.2 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

შესყიდვების ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესასყიდი მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს, კუთვნილი საგარანტიო მომსახურების გაწევა დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მომსახურების გაწევის ვადები, ადგილი და პირობები

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2016 წლის ოთხი იანვრიდან, 2016 წლის ოცდათერთმეტ დეკემბრამდე.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, 1-ლი კვარტალი სსიპ ქალაქ თბილისის №48-ე საჯარო სკოლის შენობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

5.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების მიწოდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 შემსრულებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და ხარისხიანად.
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ნაკლის აღდგენა.
- დროულად განიხილოს დამკვეთის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებიტი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „დამკვეთს" შეუწყდება მომსახურება.

დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა პირობები

9.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

„დამკვეთი”	„შემსრულებელი”
სსიპ. ქ. თბილისის №48-ე საჯარო სკოლა მის: ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, 1-ლი კვარტალი ს/კ 200007795 ტელ: 0322 60 05 64. tbilisi48@mes.gov.ge დირექტორი /ი. ფუხაშვილი / ----------	შ.პ.ს. “სანტექ სერვისი” მის: ქ. თბილისი,შ.ნუცუბიძის ფერდ. 4მკ/რ. კორ. 19ა. ბ.45 ს/კ 404925836 ს.ს.„თი ბი სი ბანკი” ა/ა GE68TB7072436080100003 ბ/კ TBCBGE22 ტ. 245-02-10 245-45-46 579 76-72-78 info@santeqservice.ge დირექტორი /ზ.სამუშია/ ----------